ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4570565

ნომერი: AR1687366

თარიღი : 12.06.2019

გაცემის თარიღი : 02.07.2019

გაცნობის თარიღი : 03.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N199;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ კუპრეიშვილი პ/ნ 01027011671
- თბილისი ვაზისუბნის I მ/რ კორ. 20"ა" ბ. 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3961232 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 12 ივნისს №AR1687366 განცხადებით მომართა არჩილ კუპრეიშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ცვლილების შეტანა

სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3961232 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 28 დეკემბრის №1-2639 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში აკაკი ბელიაშვილის ქ. №199-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.02.001.018) დროებითი ნაგებობის (კაფე-ბარი) განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.
სამსახურის 2017 წლის 03 იანვრის № 3006607 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (№01.13.02.001.018) კაფე ბარის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 19 ივლისის №3406806 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2017 წლის 03 იანვრის № 3006607 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ,,დროებითი ნაგებობა კაფე–ბარი და ცალკე მდგომი შენობა–ნაგებობა (კაფე–ბარი)'', ასევე სამსახურის 2017 წლის 3 იანვრის №3006607 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა 2017 წლის 12 ივლისი №AR1522468 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სქემები.
სამსახურის 2017 წლის 14 მარტის №3147194 ბრძანებით (სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3165785 ნებართვა) შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.02.001.018), კაფე-ბარის არქიტექტურული პროექტი.
2017 წლის 28 ივლისის №3434400 (2017 წლის 10 აგვისტოს №3464941) ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.02.001.018), (ცალკე მდგომი შენობა–ნაგებობა) კაფე-ბარის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495455, 2017 წლის 01 სექტემბრის №3506060, 2018 წლის 02 მარტის №3844217(2018 წლის 15 მაისი №3961232 ნებართვა) და 2019 წლის 03 იანვრის №4326704 (2019 წლის 22 იანვრის №4343106 ნებართვა) ბრძანებებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა (ცალკე მდგომი შენობა–ნაგებობა) კაფე, ბარის კორექტირებული არქიტექტურული პროექტები და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 22/01/2019 წ-დან 22/02/2020 წ-ის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3961232 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ სურს რომ საპროექტო შენობას მოეხსნას დროებითი სტატუსი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2018 წლის 02 მარტის №3844217 ბრძანებით კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია და 2018 წლის 15 მაისის №3961232 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაცემულია ცალკე მდგომი შენობა–ნაგებობა (კაფე–ბარი) განთავსების მიზნით და აღნიშნულ ბრძანებებში არ ფიქსირდება, რომ ობიექტს აქვს დროებითი სტატუსი.
დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.001.018) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ '' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი 1-ის მიხედვით საზოგადოებრივი საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვებ სახეობებს განეკუთვნება კაფე და ბარი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3961232 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშულ ბრძანებაში არ არსებობს ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი.